Sps `koneqsi~
saqarTvelo, q. Tbilisi
mindelisq.#3,

`Konex~ LTD
Tbilisi, Georgia
#3 Mindeli str.

Web:www.konex.ge
Email:info@konex.ge

№29.06.2021 სდ-18

საექსპერტო დასკვნა

ქ. თბილისში. ალ. ყაზბეგის გამზ. №34-ის შედა კვარტალში მშენებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექრირებულ პროექტში მიღებული კონსტრუქციული გადაწყვეტების საიმედოობის თაობაზე

2020 წლის 24 მაისს შპს „კონექსი“-ს მიერ გაიცა დადებითი საექსპერტო დასკვნა ქ. თბილისში. ალ. ყაზბეგის გამზ. #34-ის შედა კვარტალში (ნაკვ. ს/კ 01.14.03.042.416) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის პროექტის კონსტრუქციულ ნაწილზე. ამჯერად საექსპერტიზოდ წარმოდგენილია კორექტირებული პროექტი, რომელიც ითვალისწინებს შემდეგი სახის ცვლილებებს:

- საცხოვრებელი ერთეულების პირველივე სართულიდან (+3,00 ნიშნული) იცვლება კოლონების კვეთი. დამტკიცებული პროექტის არქიტექტურულ ნაწილში სვეტების განივი კვეთის ზომებია 40x40 სანტიმეტრი, პროექტის კონსტრუქციულ ნაწილში, რომლის მიხედვითაც მიმდინარეობს მშენებლობა, კი 60x40 სანტიმეტრი. აღნიშნული შეუსაბამობა თავის დროზე არ იქნა აღმოფხვრილი, ამჯერად პროექტის არქიტექტურულ ნაწილის კორექტირებისას მოხდა მისი გათვალისწინება;
- ავტოსადგომის სივრცეში შემავალ შუა ღიობზე ეწყობა ავტოსადგომის კარები, 6-1 ფასადზე დაემატა ღიობები, რომლებიც ემსახურება სადარბაზოს და ავტოსადგომს, გაერთიანდა N71 და N72 ბინები, ორი ბინის ნაცვლად მოეწყო ერთი ბინა. აღნიშნული ცვლილებები არქიტექტურულ-გეგმარებითია და არ ეხება შენობის მზიდ კონსტრუქციებს.
- 6-1 ღერძების მხარეს, მიწისქვეშა სართულის დონეზე დამატებით ეწყობა სივრცე დამოუკიდებელი გზა-კიბით, რომელშიც განთავსდება ტუმბოს, ავზისა და გენერატორის ოთახები. აღნიშნული ერთსართულიანი სათავსო სრულიად დამოუკიდებელია ძირითად შენობისაგან. მას გააჩნია დამოუკიდებელი საძირკვლები, რომლებიჩ ეფუძნება პრაქტიკულად უკუმშვად კლდოვან გრუნტებს. აქედან გამომდინარე მას გავლენა არ ექნება ძირითადი შენობის მზიდ კონსტრუქციებზე.

ზემოთ მოყვანილიდან შეიძლება დავასკვნად, რომ კორექტირებულ პროექტში შეტანილი ცვლილებები არ აისახება შენობის მზიდი კონსტრუქციების და მისი ცალკეული ელემენტის სიმტკიცის, სიხისტის და მდგრადობის, მოქმედი ტექნიკური ნორმატული დოკუმენტებთ განსაზღვრულ, პირობებზე, აქედან გამომდინარე იგი არ აისახება არც ნაგებობის საიმედოობის დონეზე.

შპს „კონექსი“-ს მთავარი ინჟინერი

კ. ოდიშვილი